შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№27 (9.986)

31 ივლისი-7 აგვისტო 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ოლიმპიური ოქრო დედოფლისწყაროდან!

ლაშა ბექაური ოლიმპიური ჩემპიონია!

ტოკიოში აჟღერებული საქართველოს ჰიმნი, ტანში სიხარულის ჟრუანტელი და ზეიმი ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებულად კი დედოფლისწყაროში.

„ჩემი ოცნება ახდა!

ეს გამარჯვება ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხისთვისაა.

ჩემი ხალხი გედნიერია ჩემი გამარჯვებით და ეს ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს“-ეს ლაშა ბექაურის პირველი კომენტარია ოლიმპიური ოქროს მოპოვების შემდეგ.

დიახ, მაშინ, როდესაც მსოფლიოს რუკაზე პაწაწინა ქვეყანას ძლივს პოულობ, ამომავალი მზის ქვეყანაში, იქ, სადაც ტერიტორიული ფართობითაც და ეკონომიკითაც ძლიერი ქვეყნები თავს იწონებენ, პატარა ქვეყნის დროშა ყველა მათგანზე მაღლა ფრიალებს და უპირატესად ისმის საქართველოს ჰიმნი... ეს გამარჯვების ჰიმნია, რომელიც სიხარულიან და ამაყ ემოციებს აღძრავს. ყელში ბურთი გებჯინება - სიხარულისა და სიამაყის ბურთი.

28 ივლისს ლაშა ბექაურის გამარჯვებამ ყველა გააერთიანა. სოციალურ სივრცეში ყველამ დაივიწყა წყენაც, პოლიტიკური ამბიციებიც და ერთმანეთს ასწრებდა მისდამი სიყვარულის გამოხატვას.

21 წლის ლაშა ბექაური ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონია. ქართველმა ძიუდოისტმა ფინალში გერმანელი მეტოქე, ედუარდ ტრიპელი დაამარცხა. ლაშა ნახევარფინალში რუს მეტოქეს დაუპირისპირდა და სწორედ მასთან გამარჯვებით მოიპოვა ფინალის საგზური.

ახალგაზრდა ფალავანი 2021 წლის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულიცაა, სადაც მოიპოვა კიდეც ოლიმპიადის ლიცენზია. პირველი ადგილი დაიკავა 2019 წელსაც მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე 90 კგ წონით კატეგორიაში, ასევე გამარჯვება მოიპოვა 2019 წლის ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე. ლაშა ბექაური ძიუდოში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის 2018 წლის გამარჯვებულიცაა.

ლაშა ბექაური სოფელ არხილოსკალოდანაა. 6 წლის ასაკში სწორედ აქ დაიწყო ძიუდოში ვარჯიში. დარბაზი, სადაც არხილოსკალოელები ვარჯიშობდნენ, თხუთმეტიოდე წლის წინ არ იყო კეთილმოწყობილი - მეორადი ლეიბებით და ყველანაირი სპორტული ინვენტარის გარეშე.

„გირები და ჰანტელები რომ არ გვქონდა, ქვებით გვიწევდა ვარჯიში. მანქანის ძველ საბურავებს გამოვიბამდით ქამარზე და ისე დავრბოდით, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით... ჩემი სახლიდან ამ დარბაზამდე, 13 კილომეტრი იყო და ბიჭები ფეხით გავდიოდით ამ მანძილს. ამხელა გზაზე სიარული პატარა ბავშვისთვის ძალიან ძნელი იყო...

ბევრჯერ ვარჯიშზე უჭმელი წავსულვარ, საჭმელი არ მქონია. სკოლის პერიოდში ბავშვები კარალიოკს ვჭამდით ხოლმე, ბუფეტში რომ ვერაფერს ვყიდულობდით...

აქ ვინც ცხოვრობს, ყველა მთიდან ჩამოსულია - ხევსურები, მთიულები, გუდამაყრელები. მე გუდამაყრელი ვარ. ზაფხულში, როცა ვახერხებდი, ავდიოდი გუდამაყარში. ძალიან მიყვარს იქ ყოფნა, ლექსების წერა. გუდმაყარში ყოველთვის მოდიან მუზები...

ძალიან ვამაყობ, რომ ქართველი ვარ, მთის შვილი. ვამაყობ იმითაც, რომ 300 არაგველის შთამომავალი ვარ და შეჯიბრზეც როცა გავდივარ, ეს დიდ მოტივაციას მაძლევს - ის ხალხი რომ ომში ისე თავდაუზოგავად იბრძოდა, მე არ მაქვს უფლება უკან დავიხიო, რადგან მათი შთამომავალი ვარ” - ამბობდა ინტერვიუში ლაშა ბექაური და იმის პიროგაც დადო, რომ სამშობლოს ოლიმპიურ ოქროს მოუტანდა.

21 წლის ძიუდოისტმა პიროგა შეასრულა. თუმცა, მისი მიზნები აქ არ მთავრდება. მისი ოცნება 4 ოლიმპიური ოქროს მოპოვებაა. ასე რომ, ყველანი ველოდებით კიდევ 3 ოლიმპიურ ოქროს. წარმატებები ლაშას! კიდევ ბევრჯერ გაეხარებინოს და ესახელებინოს საქართველო და მშობლიური დედოფლისწყარო!

C M Y K

გილოცავთ ელიაობას!

დღესასწაული შეზღუდვების გარეშე ჩატარდება

ელიაობა ყოველწლიურად 2 აგვისტოს აღინიშნება. განსაკუთრებულად ამ დღეს დედოფლისწყაროში დღესასწაულობენ, სადაც ელიას მთაზე წმიდა ილია თეზბიტელის სახელობის ტაძარი მეექვსე საუკუნიდან არსებობს. მრევლი სპეციალურად ამ დღისთვის დედოფლისწყაროში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩადის.

ამინდის შეცვლასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების გარდა, რომლებიც მაის-ივნისში, ან საჭიროების დროს იმართებოდა, ხალხურ დღეობათა კალენდარში გამოყოფილია განსაკუთრებული დღე — 2 აგვისტო (ძვ. სტ. 20 ივლისი), როდესაც ამინდის განმგებელის ელიას სახელობის დღე აღინიშნება. საეკლესიო კალენდარიც ამ დღეს ილია წინასწარმეტყველს, იგივე თესბიტელს მოიხსენიებს. უძრავი დღესასწაულის გარდა, წმიდა ელიას გვალვის დროს გაწვიმებას არა მარტო ხალხი, არამედ ეკლესიაც შესთხოვდა.

წმ. ილია (ელია) წინასწარმეტყველი ქრისტეს მოსვლამდე IX ს-ში პალესტინის ქალაქ თესბიტში ცხოვრობდა. საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, რომელიც წმ. ეპიფანე კვიპრელიდან მომდინარეობს, წმ. ილიას მამას ჰქონდა ჩვენება: პატივცემული მამები ახალშობილ წმ. ილიას მოწიწებით ესალმებოდნენ, ახვევდნენ ცეცხლოვან სახვევებში და ცეცხლით კვებავდნენ. იერუსალიმელმა მღვდლებმა მამას ჩვენება განუმარტეს და უთხრეს, რომ მისი ვაჟი იერუსალიმს ცეცხლითა და მახვილით განსჯიდა. მართლაც, წმ. ილია ისრაელის ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი გახდა. იგი მეფე აქაბის დროს მოღვაწეობდა. უკეთური მეფე აქაბის (მან უღალატა ჭეშმარიტ ღმერთს და მის ნაცვლად წარმართული კერპი აღმართა) დასასჯელად ისრაელს სამწლიანი გვალვა მოევლინა, თავად წმ. ილია კი ღვთის მითითებით უდაბნოში მთის ნაკადულთან იმალებოდა, საც მასთან ყორნებს დილა-საღამოს პური და ხორცი მიჰქონდათ. ქვეყანას საშინელი გვალვა და შიმშილი დაატყდა თავს. ხალხმა ნელ-ნელა ჭეშმარიტი ღმერთის გახსენება დაიწყო.

ამასობაში, ღმერთის მითითებით, ილია წინასწარმეტყველმა ბაალის ქურუმი გამოიწვია და შესთავაზა, გამოეცადათ, რომელი იყო ჭეშმარიტი ღმერთი: იაჰვე თუ ბაალი. ორივე მხარეს საკუთარი ღმერთისთვის თითო მოზვერი ისე უნდა შეეწირა, რომ შეშისთვის ცეცხლი არც ერთს არ მოეკიდებინა. ჯერ ბაალის მსახურებმა ილოცეს ბაალის წინაშე მთელი დღე, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ წმ. ილიამ უფლის დანგრეული საკურთხეველი თორმეტი ქვით ამოაშენა და სამსხვერპლო მოზვერზე დიდძალი წყალი დაასხმევინა, დაიჩოქა და იაჰვეს წიანშე ილოცა. დაასრულა თუ არა წინასწარმეტყველმა ლოცვა, ზეციდან ელვასავით გადმოსულმა ცეცხლმა მიწიანად დანთქა მსხვერპლი, შეშა, ქვები, ამოაშრო წყალი. ახლა კი კვლავ ირწმუნა ხალხმა იაჰვე. ამის შემდეგ, წმ. ილია ავიდა მთაზე და ღმერთს მხურვალედ ევედრებოდა, წვიმა მოევლინა. შვიდგზის ლოცვის შემდეგ მოვიდა ნანატრი წვიმა. ასე დასრულდა ისრაელში სამწლიანი გვალვა.

გამოხდა ხანი. ამ ხნის განმავლობაში მრავალი რამ მოხდა ისრაელში. დადგა ილია წინასწარმეტყველის გარდაცვალების დრო, მაგრამ ღმერთმა იგი ცეცხლოვანი ეტლით, ქარბორბალას დახმარებით ზეცაში ცოცხლად აიტაცა. მეორედ მოსვლის დროს იგი წმიდა ენოქთან (ასევე წინამასწარმეტყველი) ერთად იქადაგებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, რისთვისაც ორივეს მოკლავენ. წმიდა ილიამ (ელიამ) თავისი ხალენი (მოსასხამი) დედამიწაზე დატოვა. იგი საქართველოში 26 საუკუნის წინ მოსულმა ებრაელებმა მოიტანეს და სამარხოში საიდუმლოდ ინახავდნენ. სამარხო (სიწმინდეების შესანახი და სამალავია), სადაც ებრაელები ელიას ხალენს ინახავდნენ, მცხეთაში, ბაგინად წოდებულ მათ სალოცავში იყო. ხალენის საქართველოში არსებობა IV ს-ში გამჟღავნდა, როდესაც წმ. ნინო მცხეთაში მოვიდა. მართალია, ხალენის ზუსტი ადგილსამყოფელი ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი, მაგრამ ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, იგი უფლის კვართთან ახლოსაა დაფლული.

ხალხის წარმოდგენით, ელია თითქოს ბრმა ხარაზია, რომელიც ეტლს დააქროლებს ცაში და სეტყვას უშენს სოფლებს; თითქოს ელიას ეშმაკი დაჰყვება და შეცდომაში შეჰყავს. ეშმაკს ელია "შეცდომაში" რომ არ შეეყვანა, ხალხი ზარებს რეკდა, თოფებს ისროდა, რათა ელიას გაეგო, რომ ის ადგილი დასახლებული იყო და არ დაესეტყვა. ელიაობის ტრადიციული შესაწირავებია: თხა, ციკანი, იცოდნენ მამლების შეფრენაც, ეკლესიასა თუ სალოცავში მიჰქონდათ რიტუალური პურები."

* * *

დედოფლისწყაროელები განსაკუთრებულად ელიან ელიაობის დღესასწაულს. წელსაც, პანდემიის მიუხედავად, ელიას მთაზე ასვლისა და მოლოცვის სურვილი უამრავ ადამიანს აქვს. ამ დღეებში გავრცელდა ჭორი, რომლის თანახმადაც, ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ელიის მთასთან მისასვლელი გზა გადაიკეტებოდა და ხალხს მოლოცვის შესაძლებლობა არ მიეცემოდა. მოსახლეობის განმარტებით, ამ გადაწყვეტილების მიზეზი ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილება გახლდათ. გაზეთი „შირაქი" მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს დაუკავშირდა და ამ ინფორმაციის გადამოწმება მასთან სცადა. როგორც დედოფლისწყაროს მერმა განაცხადა, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. „ დედოფლისწყაროობა", ჩვენი მუნიციპალიტეტის დღესასწაული, კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, არ ჩატარდება,

მაგრამ რაც შეეხება ელიაობას, რელიგიურ დღესასწაულს არანაირი შეზღუდვა არ ეხება. როგორც დედოფლისწყაროელებს, ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტის სტუმრებს, ტრადიციულად და შეუფერხებლად შეეძლებათ ელიას მთაზე ასვლა და მოლოცვა.

ვისარგებლებ შემთხვევით და ყველას მივულოცავ ელიაობას! მისი ძალა და მადლი სწყალობდეს მთელ საქართველოს და დედოფლისწყაროს!".

ინგა შიოლაშვილი

კვირიკობა 2021 აღინიშნა

28 ივლისს კვირიკობის დღესასწაულზე ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრი კაპანაძემ წირვა აღასრულა სოფელ არბოშიკის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარში.

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, ტაძრის მრევლი, წირვას როგორც ტაძრის შიგნით, ასევე მის გარეთაც ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ კვირიკობას არბოშიკში ყოველწლიურად განსაკუთრებულად აღნიშნავენ. წმ. კვირიკეს და ივლიტას სახელობის ეკლესია გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება. არქიტექტურული ძეგლი ჩრდილო-დასავლეთით, სოფელ მირზაანისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს დგას. განეკუთვნება XVIII საუკუნეს. ეკლესია დარბაზულია (12,4 ხ 6,6 მეტრი). ნაგებია რიყის ქვით და აგურით. შესასვლელი ორია: სამხრეთით და დასავლეთით. ორივე კარი გარედან არქიტრავითაა გადახურული. შიგნიდან — თაღოვანია. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდია, რომელიც დარბაზისგან პროფილირებული კაპიტელებით დასრულებული პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი ნახევარწრიული თაღითაა გამოყოფილი. აფსიდის ღერძზე გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი, რომლის ორივე მხარეს თაღოვანივე ნიშებია მოწყობილი — ერთი სამხრეთით, ორი კი — ჩრდილოეთით, მათგან ერთერთის ზემოთ მცირე სამალავია. აფსიდის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკის მიმართ ოდნავ შემაღლებულია და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. დარბაზის გრძივი კედლები ორი წყვილი, ერთსაფეხურიანი პილასტრით სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრებზე გადადის კამარის საბჯენი თაღები. აფსიდის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში გაჭრილი თითო თაღოვანი სარკმელი აშუქებს. დასავლეთ ფასადზე, შესასვლელსა და სარკმელს შორის, დაბალი თაღოვანი ნიშაა. სარკმლის ზემოთ კი საფეხურიან საფუძველზე აღმართული ჯვარია გამოსახული. სარკმლის ორივე მხარეს გამოყვანილია ვერტიკალურად განლაგებული სამ-სამი რომბი. ფასადები დასრულებულია აგურის ლავგარდნით. ეკლესია გადახურულია ღარისებრი კრამიტით. შენობის დასავლეთ კედელზე დგას აგურის სამრეკლო. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში ტაძარს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები. ეკლესია ამჟამად მოქმედია. წირვა-ლოცვას აღავლენს დეკანოზი ლევან იაკობიშვილი.

გთავაზობთ, წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას ცხოვრებას:

წმიდა მოწამენი კვირიკე და ივლიტა მცირე აზიაში, ლიკაონიის ქალაქ იკონიაში ცხოვრობდნენ. დიდებული გვარის ჩამომავალი ივლიტა ქრისტიანი იყო. იგი ადრე დაქვრივდა და ერთადერთ ძეს - ჩვილ კვირიკეს კეთილმსახურებით ზრდიდა. როცა უსჯულო იმპერატორმა დიოკლეტიანემ (284-305) მართლმორწმუნეთა დევნა დაიწყო, წმიდა ივლიტამ, იმის შიშით, რომ სატანჯველს ვერ გაუძლებდა, დატოვა მთელი სიმდიდრე, ნათესავები, ახლობლები და შვილთან და ორ მხევალთან ერთად ჯერ სელევკიაში გაიხიზნა, შემდეგ კი ტარსოსს მიაშურა. აქ ნეტარი მდაბიოთა და გლახაკთა შორის ცხოვრობდა. გარეგნულად თითქოს არაფრით განირჩეოდა მათგან, მაგრამ, როგორც ჩანს, „მოწევნულ იყო ჟამი მისი" - ავმა ენამ მმართველ ალექსანდრესთან დაასმინა. ივლიტა თავისი სამი წლის ძით ხელში სამსჯავროზე გამოცხადდა. როცა მმართველმა სახელი, გვარ-ტომობა და სადაურობა ჰკითხა, წმიდანმა ახოვნად მიუგო: „მე ქრისტიანი ვარ! ეს სიტყვა მეტყველებს ჩემს ვინაობაზეც და კეთილშობილებაზეც - ჩემი სამშობლო კი ზეციური იერუსალიმია!" კადნიერი პასუხით განრისხებული მსაჯულის ბრძანებით ივლიტას შვილი ხელიდან გამოგლიჯეს და ხარის ძარღვებით დაუნდობლად დაუწყეს ცემა. დედის წამების შემყურე კვირიკე ტიროდა, ხელებს ასავსავებდა, ფეხებს ურტყამდა მტარვალებს და მათგან თავის განთავისუფლებას ცდილობდა. ბავშვის სილამაზით მოხიბლულმა ალექსანდრემ თავისთან მიაყვანინა იგი, კალთაში ჩაისვა და ფერება დაუწყო, მაგრამ ყრმა არ ცხრებოდა: „მეც ქრისტიანი ვარ!" ტიროდა ბავშვი და თან ტირილით მიიწევდა დედისკენ. საშინლად გაავებულმა მსაჯულმა ბავშვი მიწაზე დაანარცხა და წიხლი ჰკრა. ჩვილი კიბის საფეხურების კიდეებზე თავის ხეთქებით ჩაგორდა და სული უფალს შეჰვედრა.

როცა ივლიტამ შვილის ნეტარი აღსასრული იხილა, მადლობა შესწირა უფალს, მმართველმა კი, მის მოუდრეკლობაში კიდევ ერთხელ დარწმუნებულმა, წამების გაძლიერება ბრძანა: მარტვილს რკინის წვერბასრი იარაღებით დაუწყეს ჯიჯგნა, ჭრილობებში კი გამლღვალ ფისს ასხამდნენ.

- „შეიბრალე თავი, ივლიტა, - ეუბნებოდა ალექსანდრე ქრისტეს ტარიგს, - დაინდე შენი ყმაწვილქალობა და შესწირე მსხვერპლი ღვთაებებს!"

- „არ მოვუდრეკ ქედს უტყვ და უსმ კერპებს, მე მხოლოდ ჩემს უფალს, იესო ქრისტეს - მხოლოდშობილ ძე ღვთისას ვეთაყვანები!" - პასუხობდა ნეტარი.

უღონოქმნილმა მმართველმა ივლიტას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. სასჯელის აღსრულების წინ სანატრელმა მონამემ დრო ითხოვა ლოცვისთვის, მუხლი მოიყარა და მაცხოვარს შეჰღაღადა: „გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ ჩემს ძეს უწინარეს ჩემსა მოუწოდე და ამაო მიწიერი ცხოვრების წილ საუკუნო სუფევა დაუმკვიდრე. აწ შეიეედრე სულიც ჩემ უღირსისა მხევლისა შენისა და ღირს მყავ ბრძენ ქალწულთა თანა შესვლად ქორწილსა მას დაუსრულებელსა".

ამ სიტყვების შემდეგ ივლიტას თავი მოჰკვეთეს (+დაახლ. 305). მისი გვამი კვირიკეს ცხედართან ერთად ქალაქგარეთ დაადგეს მხეცებისა და ფრინველების საჯიჯგნად, მაგრამ ერთგულმა მხევლებმა მოახერხეს, რომ ღამით ფარულად დაეფლათ ისინი.

ნეტარი მარტვილების ნაწილთა აღმოყვანება აღესრულა მოციქულთასწორი კონსტანტინე დიდის ზეობაში (+337, ხს. 21 მაისს). კვირიკესა და ივლიტას მიმართ ლოცულობენ ოჯახური ბედნიერებისა და სნეულ ყრმათა მსწრაფლ განკურნებისათვის. წმიდა კვირიკეს ხელის მტევანი ინახება საქართველოში.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა



ვინ იქნებიან მერობის კანდიდატები?

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი მმართველმა პარტიამ უკვე დაასახელა. მოქმედი მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კვლავ იყრის კენჭს. „ჩემთვის დიდი პატივია და უდიდესი პასუხისმგებლობა, მესამედ მივიღო არჩევნებში მონაწილეობა, ვემსახურო ჩემს მშობლიურ ხალხს და დედოფლისწყაროს. მადლობა ნდობისთვის." – განაცხადა მან წარდგენის შემდეგ.

პოლიტსაბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე, ირაკლი კობახიძემ, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატები დაასახელა:

რუსთავი - ნინო ლაცაბიძე;
გარდაბანი - დავით კარგარეთელი;
მარნეული - კენან ომაროვი;
ბოლნისი - დავით შერაზადიშვილი;
დმანისი - კობა მურადაშვილი;
წალკა - ილია საბაძე;
თეთრიწყარო - გიორგი წიკლაური;
თელავი - ლევან ანდრიაშვილი;
ახმეტა - ალექსი ფიცხელაური;
ყვარელი - გივი ზაუტაშვილი;
ლაგოდეხი - ჯონდო მდივნიშვილი;
გურჯაანი - ზურაბ უტიაშვილი;
საგარეჯო - ავთანდილ გულიკაშვილი;
სიღნაღი - მალხაზ ბეგიაშვილი;
დედოფლისწყარო - ნიკოლოზ ჯანიაშვილი;
გორი - ვლადიმერ ხინჩეგაშვილი;
კასპი - ვახტანგ მაისურაძე;
ქარელი - ზაზა გულიაშვილი;
ხაშური - თენგიზ ჩიტიაშვილი;
ახალციხე - ირაკლი ლაზარაშვილი;
ასპინძა - როსტომ მაგრაქველიძე;
ბორჯომი - ოთარ არბოლიშვილი;
ადიგენი - გოჩა ქიმაძე;
ახალქალაქი - მელქონ მაკარიანი;
ნინოწმინდა - ანივარდ მოსოიანი;
მცხეთა - დიმიტრი ზურაბიშვილი;
დუშეთი - მანანა ნარიმანიძე;
თიანეთი - ლევან წიკლაური;
ყაზბეგი - შალვა ელოშვილი;
ქუთაისი - იოსებ ხახალეიშვილი;

ბაღდათი - კახა ენუქიძე;
ჭიათურა - გივი მოდებაძე;
წყალტუბო - გენადი ბალანჩივაძე;
საჩხერე - ლევან ივანაშვილი;
სამტრედია - დავით ბახტაძე.

„ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბს პარტიის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს. თბილისში „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიის ლიდერი მერობის კანდიდატი კახა კალაძე იქნება, ხოლო ქვეყნის მასშტაბით - პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

თერჯოლა - ლაშა გოგიაშვილი
ტყიბული - დავით ჩერქეზიშვილი
ვანი - ალექსანდრე გოგორიშვილი
ხარაგაული - კობა ლურსმანაშვილი
ხონი - ლადო ჯურხაძე
ზესტაფონი - ვასილ გველესიანი
ამბროლაური - ლაშა ჭიჭინაძე
ონი - სერგო ხიდაშელი
ცაგერი - გიორგი ნემსაძე
ლენტეხი - გიორგი ონიანი
ზუგდიდი - მამუკა წოწერია
წალენჯიხა - გოგა გულორდავა
ჩხოროწყუ - დათო გოგუა
ხობი - დავით ბუკია
სენაკი - ვახტანგ გადელია
მარტვილი - თორნიკე ჯანაშია
ფოთი - ბექა ვაჭარაძე
აბაშა - გიგა გაბელაია
მესტია - კაპიტონ ჟორჟოლიანი
ოზურგეთი - ავთანდილ თალაკვაძე
ლანჩხუთი - ალექსანდრე სარიშვილი
ჩოხატაური - დავით შარაშენიძე
ბათუმი - არჩილ ჩიქოვანი
ქობულეთი - ლევან ზოიძე
ხელვაჩაური - ზაზა დიასამიძე
ქედა როლანდ - ბერიძე
შუახევი - ომარ ტაკიძე
ხულო - ვახტანგ ბერიძე.

„ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბს პარტიის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს. თბილისში „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიის ლიდერი მერობის კანდიდატი კახა კალაძე იქნება, ხოლო ქვეყნის მასშტაბით - პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

შეგახსენებთ, რომ საპარლამენტო არჩევნების ანალოგიურად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღიც კანონით იქნება განსაზღვრული.

„საარჩევნო კოდექსში" ჩაიწერება, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი არჩევნები ტარდება მორიგი არჩევნების წლის ოქტომბრის პირველ შაბათს. ამ ჩანაწერის მიხედვით, 2021 წლის ადგილობრივი არჩევნები 2 ოქტომბერს გაიმართება.

როგორც „ქართული ოცნების" დეპუტატმა შალვა პაპუაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განმარტა, წინადადება ადგილობრივი არჩევნების თარიღის კანონმდებლობით განსაზღვრის შესახებ სამუშაო ჯგუფში ოპოზიციის მხრიდან წამოვიდა, რაც უმრავლესობამ გაიზიარა.

საკრებულოს სხდომა გაიმართა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით საკრებულოს სხდომა დღეს გაიმართა.

სხდომაზე ცვლილება შევიდა „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის დადგენილებაში.

საკრებულოს წევრებმა ასევე მოიწონეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021 წელს საბავშო ბაღებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები.

დღესვე საკრებულომ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის დებულება. პროგრამის მიზანი საჯარო ფინანსების მართვის საქმეში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაა. აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების პროგრამა იწყება!

პროგრამა ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებას მოიცავს. პროგრამით დადგენილი პირობით, შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი.

თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე განისაზღვარა შემდეგი პირობით.

თუ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება შეადგენს 20,000 ლარამდე თანხას, თანადაფინანსება შეადგენს სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 35%-ს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის 20,000 - ლარიდან 100,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში თანადაფინანსება შეადგენს ღირებულების 35% -ს

თუ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება შეადგენს არანაკლებ 100,000 ლარს თანადაფინანსება განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 30%-ს.

ამავე პირობებით დაფინანსდება 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიისგან" სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის, მათ შორის კომბაინების შესყიდვა.

პროგრამის ფარგლებში განაცხადები მიიღება 2021 წლის სექტემბრიდან, ელექტრონული ფორმით. პოტენციური ბენეფიციარების განაცხადების განხილვა განხორციელდება წარმოდგენილი განაცხადების რიგითობის შესაბამისად.

დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ აგვისტოს თვეში იქნება ხელმისაწვდომი.

როგორ მოქმედებს კონდიციონერი ჯანმრთელობაზე და როგორ დავიცვათ თავი უარყოფითი გავლენისგან?

მეგის მთელი დღე სამსახურში, დახურულ სივრცეში უწევს ყოფნა. მისი ოთახი ინტენსიურად ვერ ნიავდება. ამიტომ, ზაფხულის ცხელ დღეებში მისთვის გაგრილების ერთადერთი საშუალება კონდიციონერი და ხელოვნური გაგრილებაა. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ცოტა ხანში მას ჯანმრთელობის პრობლემები დაეწყო. მშრალი (უკვე ქრონიკული) ხველა, ყელის სიმშრალე, ბრონქების მუდმივი ანთება. აქედან, გამომდინარე, მას გაუჩნდა კითხვა: რამდენად საზიანო ანდაც სასარგებლო შეიძლება იყოს კონდიციონერის აქტიური გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობისთვის? სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, მიმოვიხილოთ, ზოგადად, კონდიციონერის გამოგონების ისტორია.

ოცდამეერთე საუკუნის მთავარი პრობლემის - გლობალური დათბობის პირობებში, ადამიანები კონდიცირების სისტემას უფრო და უფრო ხშირად იყენებენ, თუმცა ცოტამ თუ იცის მისი შექმნის ისტორია და პირველადი დანიშნულება, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა იმისგან, რისთვისაც მას დღეს ვიყენებთ. ზოგადად, კონდიციონერის პრინციპი პირველად დიდმა და უნიკალურმა მაიკლ ფარადეიმ აღმოაჩინა. თავის კვლევებში მეცნიერი ხშირად იყენებდა ამიაკს, რომელიც დიდი ხნის შემდეგ ფართოდ გამოიყენებოდა სამაცივრო ნაწილებში. ეს იყო ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსი და ექსპერიმენტატორი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ამიაკის თხევადი მდგომარეობიდან აირისებურ მდგომარეობაში გადასვლის დროს (აორთქლების პროცესი, როდესაც თბება), ის საკმაოდ აქტიურად შთანთქავს სითბოს. შებრუნებული ტრანსფორმაციის დროს (გაზიდან თხევად) - კი პირიქით, გამოდის. ფარადეის აღმოჩენა 1851 წელს გამოიყენა ამერიკელმა პრაქტიკოსმა და გამომგონებელმა - ჯონ გორირიმ. ცხელ ფლორიდაში, ის იმდენად შეაშფოთა თავისი პაციენტების კომფორტულობამ, რომ გადაწყვიტა ყინულის აპარატის აშენება. გამომგონებელმა მიიღო პატენტი თავისი ნოუ-ჰაუსთვის, მაგრამ მან ვერ გამოიყენა იგი კომერციული მიზნებისთვის. თუმცა, ამით მან მსოფლიოში პირველი კონდიციონერი შექმნა.

1902 წელს ამერიკელმა ინჟინერ-გამომგონებელმა უილის ქერიერმა პირველად ააწყო სამრეწველო მაცივარ მანქანა ნიუ-იორკში, ბრუნკლინის ტიპოგრაფიისათვის. ყველაზე საინტერესოა ის, რომ, პირველი კონდიციონერი ემსახურებოდა არა მუშა პერსონალის კომფორტს, არამედ ტენიანობასთან ბრძოლას, რაც ძალიან ცუდად მოქმედებდა ბეჭდვის ხარისხზე. ყველა თანამედროვე ფანჯრის და სპლიტ-სისტემების წინაპრად შეიძლება ჩაითვალოს პირველი ოთახის კონდიციონერი, რომელიც კომპანია General Electric-ma 1929 წელს გამოუშვა, რადგანაც ამ სისტემაში მაცივარ აგენტად გამოიყენებოდა ადამიანისათვის საშიში ნივთიერება ამიაკი, რომლის ორთქლიც საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. კონდიციონერის კომპრესორი და კონდენსატორი გარეთ იყო გატანილი. 1931 წლიდან მოყოლებული კი, როდესაც სინთეზირებული იქნა ადამიანისათვის უსაფრთხო ფრეონი, კონსტრუქტორებმა გადაწყვიტეს კონდიციონერის ყველა კვანძისა და აგრეგატის ერთ კორპუსში აწყობა. ასე გაჩნდა პირველი ფანჯრის კონდიციონერი. დიდი ხნის განმავლობაში, ჰაერის ვენტილაციისა და კონდიცირების უახლეს ნოვაციებში და შემუშავებებში ამერიკული კომპანიები ლიდერობდა, მაგრამ 50-იანი წლების ბოლოს, ინიციატივა მყარად გადავიდა იაპონელების ხელში. მომავალში, სწორედ მათ განსაზღვრეს თანამედროვე კლიმატის ინდუსტრიის სახე. 1958 წელს იაპონურმა კომპანიამ Daikin შეიმუშავა პირველი სითბოს ტუმბო, რითაც კონდიციონერებს ასწავლიდა სითბოზე მუშაობას, ხოლო სამი წლის შემდეგ მოხდა ისეთი მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა შიდა და ნახევრად გაჯერებული კონდიცირების სისტემების შემდგომი განვითარება. ეს არის split სისტემების მასობრივი წარმოების დასაწყისი. 1961 წლიდან, როდესაც იაპონურმა კომპანია Toshiba—მ პირველად დაიწყო კონდიციონერის სერიული წარმოება, რომელიც გაიყო ორ ნაწილად, ამ ტიპის კონდიცირების მოწყობილობების პოპულარობა მუდმივად იზრდება.

გაგრილებისა და გათბობის, სამუშაო ძალის გაუმჯობესება, მწერებისგან დაცვა, ავეჯის დაცვა ნესტისგან, ელექტრო მოწყობილობების დაცვა გადახურებისგან, ძილის გაუმჯობესება - ეს ყველაფერი შეიძლება დადებით მხარე იყოს კონდიციონერის, მაგრამ გარდა ამისა, კონდიციონერი და სხვადასხვა გაგრილების საშუალებები ჯანმრთელობისთვის საზიანოაცაა. იგი შთანთქავს ოთახში არსებულ ჟანგბადს, ასევე რთულია ტემპერატურის დაბალანსება. თუ თქვენ საათობით ცივ ოთახში ზიხართ, ქუჩაში გამოსვლის დროს ორმაგად დაგცხებათ, რადგან თქვენი სხეული ეჩვევა გრილ ტემპერატურას, შემდეგ კი სიცხეში გამოსვლა ორმაგი შოკია. ასე რომ, მაქსიმალურად შეამცირეთ კონდიციონერით გაგრილებულ ოთახში გატარებული დრო. თუ შეამჩნევთ, რომ კონდიციონერით გაგრილებულ სივრცეში ყოფნისას თავი ხშირად გტკივდებათ, ამას, შესაძლოა, რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს. კონდიციონერი ჰაერს არა მარტო აგრილებს, არამედ მას აშრობს კიდეც. შესაბამისად ამ დროს ოთახში ტენიანობა იკლებს. მშრალი ჰაერის დიდი ხნის განმავლობაში სუნთქვას, თქვენი სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსისა და მთელი სხეულის გაუწყლოებაც კი შეუძლია. ასეთ დროს ტვინის მკვებავი სისხლძარღვები იკუმშება, რამაც, შესაძლოა, თავის ტკივილამდე მიგვიყვანოს.

თავის ტკივილის გამომწვევი მიზეზი ქიმიური ნივთიერებები და ალერგენებიც შეიძლება იყოს. თუ კონდიციონერი და მისი ფილტრები რეგულარულად არ იწმინდება, ოთახში, კონდიციონერმა, შესაძლოა, სხვადასხვა მავნე ნივთიერება გაავრცელოს, მათ შორის სოკოს სპორებიც. ასევე აუცილებელია, რომ ოთახს გამართული ვენტილაციაც ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კონდიციონერი დახურულ სივრცეში მუდმივად ერთ ჰაერს დაატრიალებს, რომელიც, შესაძლოა, დაბინძურებული იყოს. ცივ ჰაერს სამწვერა ნერვის გაღიზიანებაც შეუძლია, რაც თავის ტკივილს გამოიწვევს. ეს უფრო მეტად იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ კონდიციონერი ძალიან დაბალ გრადუსზე გიყენიათ. გახსოვდეთ, აუცილებელია, რომ კონდიციონერი რეგულარულად წმინდოთ, რათა თავიდან აირიდოთ მასში სოკოს სპორებისა და ობის გავრცელება. ასევე სასურველია, რომ კონდიციონერის გამოყენებისას ოთახი რეგულარულად გაანიავოთ.

რა უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს კონდიციონერს ადამიანის ჯანმრთელობაზე და უშუალოდ რომელ დაავადებებს იწვევს ორგანიზმში - ამ საკითხებზე საუბრობს **კახა ვაჭარაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.** სპეციალისტის თქმით, კონდიცირებისას ჰაერის გამოშრობა ხდება, დეიონიზაცია. გარემო იონებისგან იცლება, არადა, იონები ორგანიზმისთვის აუცილებელია. ირღვევა თერმორეგულაცია (გარეთ 40 გრადუსი სიცხეა და შიგნით - 20 გრადუსამდე გაციებული ოთახი), რისთვისაც ადამიანის ორგანიზმი მზად არ არის. როგორც ექიმი ამბობს, კონდიციონერი ყველაფერთან ერთად, ბაქტერიების გავრცელების წყაროა (განსაკუთრებით, ცენტრალიზებული კონდიცირება) და საქმე გვაქვს ბაქტერიულ ფლორასთან, ანუ სივრცეში, სადაც ადამიანები იმყოფებიან, დაბინძურებულ ფილტრებს ჰაერთან ერთად, ბაქტერიული ფლორა შემოაქვს (ბაქტერიები, მიკრობები, ათასი ინფექციის გამავრცელებელი ელემენტი).

- ეს ყველაფერი ხომ გარეთ, ატმოსფეროშიც ტრიალებს და მათ ისედაც შევისუნთქავთ...

- კი, მაგრამ გარეთ გაშლილი გარემოა, აქ კი მოკლე ფილტრებში ხდება ბაქტერიების ჩაბუდება და შემდეგ იმ სივრცეში გავრცელება, სადაც ვიმყოფებით. ეს იმ შემთხვევაში, თუ კონდიციონერს სათანადოდ არ ვუვლით...

- უშუალოდ რა დაავადებებს იწვევს?

- ისეთ მწვავე რესპირატორულ დაავადებებს, როგორიც არის გაციება, ვირუსული ინფექციები, ტრაქეიტი, ბრონქიტი, სინუსიტის, ფარინგიტი, პნევომონია, შარდსასქესო სისტემების დაავდებები (განსაკუთრებით ქალებში, ცისტიტის სახითაა გამოხატული), საყრდენ-მამოძრავებელი და კუნთოვანი სისტემის დაავადებები, მიოზიტი, ნერვულ სისტემაზე გავრცელებული დაავადებები, ჰერპესი და ა.შ.

როდესაც კონდიციონერი ადამიანს პირდაპირ უბერავს, ეს მექანიკური დაზიანებაა, ამიტომ უნდა ვეცადოთ, ეს ჭავლი ავიცილოთ, არ უნდა გვიბერავდეს. საჭიროა, გარე და შიდა გარემოში დაცული იყოს ტემპერატურული რეჟიმები. სხვაობა დაახლოებით, 4-დან 6 გრადუსამდე უნდა იყოს და არა ვთქვათ, 10-12, ან 20 გრადუსი.

- თუ გარეთ 40 გრადუსია, ხოლო კონდიცირების შედეგად ოთახში 21-24... ამ დროს რა ხდება?

- ეს დიდი ცვალებადობაა, სადაც მარტივი გამოსავალი ასეთია: სანამ 45გრადუსიანი გარესივრციდან კონდიცირებულ 23-24 გრადუსში შეხვალთ, ცოტა ხანს შუალედურ გარემოში შეყოვნდეთ, სადაც ტემპერატურა გათანაბრებული იქნება. ეს დაახლოებით გარედან შემოსული ადამიანის მიერ ცივი ყინულიანი წყლის მიღებას ჰგავს. არადა, ჯერ ოთახის ტემპერატურის წყალის მიღება ჯობია და მერე ყინულიანის. დაახლოებით ასევეა კონდიციონერთან მიმართებაშიც. ამიტომ, სასურველია, შევყოვნდეთ შუალედურ გარემოში (ჰოლი, დერეფანი, მისაღები ოთახი) და შემდეგ გადავინაცვლოთ გაგრილებულ ოთახში, რომ ჩვენმა სასუნთქმა სისტემამ გარემო ცვლილებებსა და გარდატეხაზე ადაპტაცია მოახდინოს.

- ალბათ, მნიშვნელოვანია კონდიციონერის, თავად აგრეგატის ხარისხიც.

- რა თქმა უნდა, როცა მაღალი დონის კონდიციონერი დგას, იქ რისკები ნაკლებია. დაუშვებელია იაფფასიანის დაყენება, ეს დამღუპველია. თანამედროვე კონდიციონერები, როგორც ვთქვით, თვითონ ახდენენ ოთახში იონიზაციისა და ტენიანობის დონის შენარჩუნებას და რაც მთავარია, მოქალაქეების ბაქტერიებისგან დაცვას. ისეა აღჭურვილი, რომ ჭავლს ადამიანს თვითონ არიდებს, მიმართულებას უცვლის, რომ მექანიკური დაზიანება არ მოხდეს.

- თავი როგორ დავიცვათ მოსალოდნელი საფრთხეებისგან?

- კონდიციონერს სწორად უნდა შერჩევა, შემდეგ ბიოფილტრების ხშირი ცვლაა საჭირო, ან რეცხვა, მტვერსასრუტით გაწმენდა. თუკი ერთხელ მაინც გინახავთ კონდიციონერის ფილტრი, ნახავდით, როგორი დაბინძურებულია. ამიტომ, წელიწადში 2-ჯერ უნდა გაიწმინდოს, განსაკუთრებით იქ, სადაც საზოგადოების თავშეყრის ადგილებია (ორგანიზაციები, ოფისები, კლინიკები).

ხაზგასმით საშიშია ცენტრალური კონდიცირების შემთხვევა, - ამ დროს ინფექციამ შეიძლება ერთი სივრციდან მეორეში გადაინაცვლოს, მეორედან მესამეში და ა.შ. ამიტომ, ბიოფილტრების გაწმენდა-გარეცხვისას ბაქტერიების გავრცელების საფრთხე ნაკლებია.

ხშირია პნევმონიების რისკი და ერთ-ერთი საშიში პნევმონიაა "ლეგიონელას" მიერ გავრცელებული (პნევმონელა ლეგიონელა). აგრესიული ბატქერიაა, რომელიც ისეთი მწვავე რესპირატორული დაავადებების განვითარებას იწვევს, როგორიცაა ფილტვების ანთება. "ლეგიონელა" იმიტომ ჰქვია, რომ სივრცეში ადამიანები ერთად და მჭიდროდ იმყოფებიან. ეს უჯრედშიდა გავრცელების ატიპიური მიკრობია, რომელიც, როგორც ვთქვით, დიდი აგრესიულობით გამოირჩევა. ამიტომაც, ექიმები მასთან საბრძოლველად მზად უნდა იყვნენ, დაიწყონ ფართო სპექტრის ანტიბიოტიკოთერაპია...

მოკლედ, სიმპტომების გამოვლენისას, მიყრუება არ შეიძლება, მკურნალობისთვის პაციენტმა ექიმს აუცილებლად უნდა მიმართოს. თუმცა თუ კონდიციონერს გონივრულად მოვიხმართ, ამ საფრთხეებს ავიცილებთ.

- ცხადია, მისი მთელი დღის განმავლობაში ჩართვაც დაუშვებელია...

- რასაკვირველია, როგორც ვთქვით, ის მასობრივად ჰაერს აშრობს და თერმული ბალანსს არღვევს. ამ შემთხვევაში მარტივია რამდენიმე წუთი გამოვრთოთ კონდიციონერი, ჯერ ერთი, აგრეგატიც დაისვენებს. გამორთვის შემდეგ უნდა გაიღოს კარი ან, ფანჯარა, რომ დახურულ სივრცეში მსხდომებმა ახლი ჰაერის ნაკადი ისუნთქონ, რომელიც მიკროსამყაროს ჟანგბადით აღადგენს, რაც ასე აუცილებელია ჩვენი არსებობისა და სასუნქი სისტემისთვის...

ამასთან, ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ დაუშვებელია ჩართულ კონდიციონერის ატმოსფეროში ძილი, რადგანაც დილით ადამიანს გარანტირებული აქვს უმძიმესი დაავადებები...

- როგორც ცნობილია, ხმის იოგებზეც მოქმედებს...

- ჰაერის გამოშრობისა და დეიონიაციის შედეგად ხმის ტემბრიც იცვლება. ამიტომ, პროფესიონალების რეკომენდაციაა, როგორც მოგახსენეთ, რამდენიმე ხნით გამორთოთ, გაანიავოთ ოთახი, აღადგინოთ ტენიანობის ბალანსი და შემდგომ ისევ ჩართოთ, ვინაიდან ეს მოწყობილობა ჩვენთვის არა მტერი, არამედ მეგობარია..

თანამედროვე ტექნოლოგიებმა გაგრილების ნამდვილად ეფექტური საშუალებები შემოგვთავაზეს, ამაზე ნამდვილად არავინ დაობს, მაგრამ უნდა დავფიქრდეთ: რამდენად იცავს ის ოქროს წესს ჩვენი ჯანმრთელობის დაცვასა და გაგრილებით მიღებულ სიამოვნებას შორის.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

აპრილები ოქტომბერშიც იბადებიან...

22 ივლისს, თბილისში, საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა პოეტ ირმა შიოლაშვილის მე-6 პოეტური კრებულის „ოქტომბერი“ პრეზენტაცია. კრებულში პოეტის 2014-2020 წელს დაწერილი ლექსები შევიდა. წიგნი გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა.

საღამო სიტყვით გახსნა გამომცემლობა „ინტელექტის“ მთავარმა რედაქტორმა, მწერალმა ზვიად კვარაცხელიამ:

„მე მიხარია, რომ დღევანდელ შეხვედრაზე ქართველი მკითხველი მონატრებულ ავტორს ხვდება. ირმა შიოლაშვილი, დიდი ხანია, ოჯახთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს. ის, როგორც ქართული, ასევე გერმანული სალიტერატურო ცხოვრების მონაწილეა, მისი წიგნები გერმანულ ენაზეც გამოდის, ბევრ უცხოენოვან ანთოლოგიაშია შეტანილი, მაგრამ ის ქართულად წერს, ქართველი ავტორია და ქართველი მკითხველი ერთნაირი ინტერესით და მონატრებით ელოდა ამ წიგნის დაბადებას, რომელზეც გამოცემამდე რამდენიმე საინტერესო რეცენზიაც დაიწერა.“

წიგნის რედაქტორმა, მწერალმა და ლიტერტურათმცოდნემ, როსტომ ჩხეიძემ თავის გამოსვლისას აღნიშნა: „ირმა შიოლაშვილი მიეკუთვნება იმ პოეტებს, რომელთათვისაც მთავარი წიგნის გამოცემა კი არ არის, არამედ მთავარია სრულფასოვანი იყოს ეს წიგნი. იყოს არა მხოლოდ კარგი და შესანიშნავი ლექსების ჯამი, არამედ ერთი მთლიანობა და ეს წიგნი ერთი მთლიანობაა, პოემის შთაბეჭდილებას რომ გიტოვებს ადამიანს, ისეთია, თავიდან ბოლომდე ძალიან კარგად გააზრებული. ნიშანდობლივია ის, რომ ირმა, რომელიც იმყოფება ემიგრაციაში, არ წავიდა ენობრივ ემიგრაციაში... ირმა არის მონაწილე ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების, ჩვეულებრივი, სრულფასოვანი მონაწილე....საგულისხმოა, რომ ეს კრებული ერთ განწყობაზე, ერთ მოტივზე არ არის აგებული. თუნდაც პატარა იყოს კრებული, მოითხოვს შინაგანად, რომ თემატიკაც, მოტივებიც, ლექსწყობაც მრავალფეროვანი იყოს, ბევრი რამ ხდებოდეს და სწორედ ასეთია ეს კრებული....არ უნდა დაცხრეს შემოქმედი,ის მუდმივად უნდა აგრძელებდეს ძიებას და ეს წიგნი– **„ოქტომბერი“** – არის შთამბეჭდავი ძიებით. ეს თავისებური შეჯამებაა, რაც აქამდე გაკეთებულა და რაღაც ახალი განზომილება.როგორც ერთტომეულს, რჩეულს მოეთხოვება ხოლმე, რომ დაწურული იყოს, ისეთია ეს წიგნი, მაგრამ ამ დაწურულში ძალიან ბევრია საკვირველი. თან სახელწოდება ოქტომბერი ძალიან მრავალგანზომილებიანია. ასევე თავისებურად ეფექტური და ორიგინალურია ის, რომ ოქტომბერში შეიძლება დაიბადოს აპრილი. პოეტებს თავიანთი კალენდარი აქვთ. ამ გაზომილებიდანაც უნდა შევხედოთ ირმას პოეზიას.“

პოეტმა და მთარგმნელმა გიორგი ლოგჟანიძემ თავის სიტყვაში აღნიშნა „ირმა ადრეული ასაკიდანვე გამორჩეული იყო თავისი პოეზიით, თავისი დამოკიდებულებით სამყაროსადმი, არ მახსენდება მისგან საქციელი, რომელიც პოეტისათვის იქნებოდა შეუფერებელი. ირმა ყოველდღიურობაშიც რჩება ნამდვილ პოეტად, ისეთი, როგორიც უნდა იყოს ნამდვილი პოეტი, ნამდვილი ადამიანი და მე, როგორც მის დამფასებელს, ეს განსაკუთრებით მიხარია...ეს წიგნი ადასტურებს, რომ ის არის თანამედროვე მსოფლიო პოეზიის ახალი სიტყვა. ის, რაც ხდება მსოფლიო პოეზიაში, კერძოდ გერმანულ, ევროპულ პოეზიაში, ეს წიგნი ქართულ ენაზე ირმასეულად, ორგანულად, იმ პროცესის ნაწილია... და თუ რამეს ნახავთ ამ წიგნში, ეს არის საკუთარი თავის ერთგულება და საკუთარი პრინციპების ერთგულება და ეს ერთგულებაც ირმა შიოლაშვილის დამახასიათებელი თვისებაა.“

ფილოლოგიის დოქტორმა თამარელა წოწორიამ თავის გამოსვლაში აღნიშნა:

„საკმარისია გადავშალოთ წიგნში შესული ნებისმიერი ლექსი, დავრწმუნდებით, რომ ყველა ლექსი არის გამორჩეული, ყველა ლექსში ნამდვილი, ფაქიზი გემოვნების და სულიერების პოეტი გვესაუბრება, რომელიც სამშობლოდან არსად არ წასულა. ის ქართველია თავისი ფიქრებით, დამოკიდებულებით, თავისი პოლიტიკით, მიუხედავად იმისა, რომ, აქ რაც ვახსენე, არცერთი არ ჩანს ასე ხელშესახებად, წუწუნის ფონი არ გასდევს მის პოეზიას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისეთი კამერულია მისი ხმა რომ იმ წუთში მისიანი ხდები...ირმასაც უყვარს ხოლმე თქმა, ჩემიანი ხარო, ადამიანებს როდესაც ეუბნება კომპლიმენტს, და ეს ძალიან დიდი კომპლიმენტია ჩემთვისაც, ცხოვრება დიდ საჩუქარს აკეთებს ხოლმე, როცა ჩვენ ცოცხალ გარემოში, ცოცხალ პოეტთან გაქვს ურთიერთობა და ცოცხალი პოეტის მაჯისცემას ვაფიქსირებთ.“

ეს წიგნი არის ორი კულტურის დიალოგი. აქ არ არის გერმანული მოტივები, მაგრამ ქართული მოტივები იმ სიმაღლეზეა აწეული, რომ გერმანელი მკითხველისთვის არანაკლებ საინტერესოა...

ხმაური კონკურს „ლიტერას“ გარშემო გრძელდება

კულტურის სამინიტრო კონკურს „ლიტერას“ გარშემო განვითარებულ მოვლენებს განცხადებით ეხმაურება. უწყების განცხადების შინაარსიდან ვიგებთ, რომ კონკურსს მწერალთა სახლი დამოუკიდებლად აორგანიზებს და ატარებს და კულტურის სამინისტრო კონკურსში არ ერევა.

„კონკურსს „ლიტერა“ სრულად აორგანიზებს და ატარებს მწერალთა სახლი. სხვა წარმომადგენლებს დამოუკიდებლად ასახელებს მწერალთა სახლი. გარდა ამისა, სამინისტროს მიერ მწერალთა სახლისთვის სრულად გადარიცხულია 50 000 ლარი, რაც კონკურსის ჩასატარებელი თანხაა და ამ თანხას მწერალთა სახლი ასევე დამოუკიდებლად განკარგავს“ – აღნიშნულია განცხადებაში.

ცნობისთვის, კონკურს ,,ლიტერას” ჟიური ოთხმა წევრმა დატოვა. ჟიურიში მხოლოდ კულტურის სამინისტროს მიერ დანიშნული წევრი, იოსებ ჭუმბურიძე რჩება.

„თანამედროვე ლიტერატურაცა და ლიტერატურული პროცესიც ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სარკეა. დღეს ცნობილი გახდა, რომ ლიტერატურული პრემია „ლიტერას“ ჟიურის ერთი წევრი კულტურის სამინისტრომ „მწერალთა სახლში“, როგორც ბოლშევიკური წესია, მიავლინა და დანიშნა. რადგან ჯერ არ იყო გამოქვეყნებული მოკლე სია, თავს ვიკავებდი ამ გადაწყვეტილების მიღებისაგან, მაგრამ დღეს მეც ვუერთდები ჩემს ძვირფას კოლეგებს, ვინც პროტესტის ნიშნად მოხსნა საკუთარი წიგნები პრემიიდან და მოვუწოდებ ყველა მწერალს, ვისთვისაც ძვირფასია ამ ქვეყნის მომავალი, ქართული კულტურა და მწერლობა, ვინც თვლის, რომ არასოდეს აღარ უნდა დავბრუნდეთ უკან საბჭოთა წარსულში, გამოხატეთ თქვენი პოზიცია და ხმა აღიმაღლეთ ამ უმსგავსობის წინააღმდეგ“-წერს პოეტი ირაკლი კაკაბაძე სოციალურ ქსელში.

კონკურსი დატოვა ასევე არაერთმა მწერალმა. ეს გადაწყვეტილება მათ კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის მიმართ პროტესტის ნიშნად მიიღეს.

ნიჭსა და შრომისმოყვარეობას ყოველთვის მოაქვს შედეგი!

ლაშა ბექაურის გამარჯვება ყველას გაუხარდა, მაგრამ განსაკუთრებით ამაყი იყო ჩვენი რაიონი და მისი მშობლიური სოფელი. აკი, ლაშამაც თავის პირველივე კომენტარში აღნიშნა, რომ ეს გამარჯვება ქვეყანას და მშობლიურ მხარეს მიუძღვნა. ქედების ზონიდან დაწყებული საზეიმო კოლონა ხმაურიანი სვლით დედოფლისწყაროს ცენტრამდე ამოვიდა და ყველას კიდევ ერთხელ ახარა ლაშას ოლიმპიური ოქრო. არხილოსკალოში კი მთელი ღამის განმავლობაში აღნიშნავდნენ თანამემამულის გამარჯვებას. მეორე დღეს სოფლის შესასვლელთან ბანერი აღმართეს-აქ დაიბადა ოლიმპიური ჩემპიონი.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ლაშა ბექაურმა ყველა გაახარა, განსაკუთრებით კი დედოფლისწყაროელები. მან საქართველოს დროშა ყველაზე მაღლა ასწია და კვარცხლბეკიდან ჩვენი ქვეყნის ჰიმნი გააჟღერა. სამწუხაროდ, ძიუდოისტებიდან მხოლოდ ლაშამ მოიპოვა ოქრო, მაგრამ, ცხადია, ეს ფაქტი ჩვენთვის ორმაგად საამაყოა. თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მას ხელის სერიოზული ტრამვა ჰქონდა და ორთაბრძოლა, ფაქტიურად, ერთი ხელით მოიგო.

ერთი სული გვაქვს, როდის ჩამოვა ლაშა, რომ მას ისეთი დახვედრა მოვუწყოთ, როგორსაც იმსახურებს. ბევრი სიურპრიზი გვაქვს ოლიმპიური ჩემპიონისთვის. მუნიციპალიტეტი სათანადოდ დააფასებს თავის შვილს. შემთხვევით არაფერი ხდება- სიმბოლურია, რომ ამომავალი მზის მუნიციპალიტეტის შვილმა ამომავალი მზის ქვეყანაში გამარჯვება მოიპოვა. კიდევ ერთხელ ვულოცავ ლაშას და ყველა მის გულშემატკივარს ამ გამარჯვებას!“

კახა წიკლაური, **ლაშა ბექაურის პირველი მწვრთნელი**: „ჩემს ემოციებს თავს ვერ ვუყრი. ჯერ ისევ შოკში და ეიფორიაში ვარ. ეს განცდა სიხარულზე მეტია. ვიტყვი, რომ ძალიან ბედნიერი ვარ და გილოცავთ ყველას ამ გამარჯვებას“...

მალხაზ მერაბიშვილი: „ლაშა ბავშვობიდან გამორჩეული იყო როგორც პიროვნულად, ასევე სპორტული მონაცემების თვალსაზრისითაც. მან დაამტკიცა, რომ ნიჭსა და შრომისმოყვარეობას ყოველთვის მოაქვს შედეგი! გილოცავთ ყველას კიდევ ერთხელ!“

ვიკა წიკლაური, **ლაშა ბექაურის დედა:** „მადლობა უფალს, დიდი სიხარულისთვის, ყველა ადამიანს, სრულიად საქართველოს, შოკისმომგვრელი სიხარულისთვის, ლაშა ბექაურმა მეგონა გააერთიანა: ერი, ბერი, არავის ახსოვდა კონფლიქტები, პოლიტიკა, ყველა ქომაგობდა, უყურებდენ და ბოლოს დიდმა სიხარულმა მოიცვა მთელი საქართველო... ჩემი ამბიცია ცხოვრებაში, ადამიანების ურთიერთგაგება, გატანა, მხარდაჭერა, სიყვარულია!!! არაფერი გვიშლის ხელს, გვიყვარდეს ერთმანეთი ქართველებს! ერთმუშტად შეგვკრას დიდმა სიხარულმა (როგორც ვიცითხოლმე)! მადლობა ადამიანებო, ჯერ ისევ სიხარულით გამოწვეული შოკი მაქვს! არადა დიდ ტკივილს, მოუშუშებელს დავატარებდი გულით, გულით რომელი გულიც ლაშას ბიძამ, ჩემმა ძმამ წაიღო. ლაშამ ჩემი სოსო გამიცოცხლა! ჩემი გული აამზიანა და დიდი სიხარულით შეცვალა. მადლობა დედი, ამისთვის, ყველაფრისათვის! გილოცავ დედი. მიყვარხართ, მიყვარხართ, მიყვარხართ, ქართველებო!”

რა საბუთებით შეძლებენ უცხოეთში გამგზავრებას საქართველოს ვაქცინირებული მოქალაქეები

„ყველა ქვეყანას ინდივიდუალური შეზღუდვები გააჩნია საზღვრებზე სხვა ქვეყნების მოქალაქეთა მიღებასთან დაკავშირებით - ინფექციონისტმა ალექსანდრე გოგინავამ და აღნიშნა, რომ იმ მოქალაქეებს, რომელთაც უკვე აქვთ ჩატარებული ორივე დოზით ვაქცინაცია, დღესაც შეუძლიათ გადაკვეთონ საზღვარი და იმოგზაურონ”.

„ყველა ვაქცინირებულ მოქალაქეს ეძლევა ორენოვანი საბუთი, რომლის საშუალებითაც, აქვთ შესაძლებლობა შევიდნენ ნებისმიერი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს ქვეყნები აღიარებენ ვაქცინას, რომლითაც აცრებს ჩვენი ჯანდაცვის სისტემა ახორციელებს. „ვაქცინირებულ პირებს ამ მხრივ არ აქვთ შეზღუდვები - უბრალოდ, შესაძლოა, ზოგიერთმა ქვეყანამ ჩვენგან, როგორც ეპიდსიტუაციის თვალსაზრისით “წითელი ზონის” ქვეყნიდან, არ შეუშვას მოქალაქეები. „ყველა ქვეყანას საზღვრებზე ინდივიდუალური სანქციები აქვს დაწესებული, ზოგიერთი სახელმწიფო ითხოვს მხოლოდ ვაქცინაციის საბუთს, ზოგიერთი კი დამატებით PCR ტესტის შედეგებსაც” - განაცხადა გოგინავამ. აქვე ცნობილია, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის საჭირო ცნობის მიღება ვაქცინირებულ პირებს იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში შეუძლიათ, - რის შესახებაც ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

„ვაქცინაციის პროვაიდერი დაწესებულება დოკუმენტს ადასტურებს ამავე დაწესებულების ბეჭდით და/ან შტამპით და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. ცნობა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის თაობაზე მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ვაქცინირებული პირის პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი; ვაქცინის დეტალები: დოზა, მწარმოებელი, თარიღი; სამედიცინო დაწესებულების დასახელება; ინფორმაცია ჩატარებული COVID-19 ტესტირების შედეგებისა და კვლევის განმახორციელებელი ლაბორატორიის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების გარდა, ვაქცინირებულ პირს შეუძლია ცნობა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის თაობაზე მოითხოვოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში, რომელიც ასევე ადასტურებს დოკუმენტს ბეჭდით და/ან შტამპით და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. მიმღები ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად, აღნიშნული ცნობა შესაძლებელია დამოწმდეს აპოსტილით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არ ინახება იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი ბეჭდის, შტამპისა და ხელმოწერის ნიმუში, აპოსტილი შეიძლება დასმულ იქნეს დოკუმენტზე მხოლოდ ამ დაწესებულებებიდან სათანადო ნიმუშების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში გადაგზავნის მიღების შემდეგ”.

„იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება სამედიცინო დაწესებულებებიდან ბეჭდის, შტამპისა და ხელმოწერის ნიმუშების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში გადაგზავნა, შეგიძლიათ მიმართოთ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს და მათ მიერ გაცემული ცნობა წარადგინოთ სერვისების განვითარების სააგენტოში. COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინ(ებ)ით აცრის ცნობის აპოსტილით დამოწმების აღნიშნული პროცედურა წარმოადგენს დროებით ღონისძიებას საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების ყღ კოდების ევროკავშირის სივრცესთან მიერთებამდე”, - აცხადებენ სამინისტროში”.

„შებოჭილი პერშინის დანახვისას გვეგონა, რომ იმ დღეს საქართველომ რუსეთს ომი მოუგო“...

2008 წელი, 13 აგვისტო: ისტორიული გამარჯვების ამბავი

საქართველოში, რამდენიმე დღეში, კვლავ გავიხსენებთ 8 აგვისტოს და რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომს. დღეს, როდესაც დიდ ტკივილთან ერთად ტერიტორიები და თანამემამულეები დაგვაკარგინა...

2008 წელს ტატამზე იბრძოდა ირაკლი ცირეკიძე, რომელმაც რუს მეტოქეს სძლია და ამით სამოქალაქო გმირობა გვიჩვენა. გადავწყვიტეთ, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ პეკინის ოლიმპიადის ქრონიკა.

2008 წელი,13 აგვისტო,პეკინის ოლიმპიადა

ძიუდოს ორთაბრძოლებში 90 კგ კატეგორიის სპორტსმენები ერთვებიან. სულ 31 მონაწილეა. ქართველი ათლეტი ირაკლი ცირეკიძე I წრეში ისვენებს; II წრეში ქულებით უგებს ჰეშამ მესბახს (ეგვიპტე); III წრეში კი იპონით აზერბაიჯანელ ელხან მამადოვს ამარცხებს... და დგება ნახევარფინალის დრო, სადაც რუსეთის წარმომადგენელს, რუსეთის იმჟამინდელი პრემიერის ვლადიმირ პუტინის ფაორიტად ცნობილ ივან პერშინს ხვდება... ტატამზე მსოფლიოს მოქმედი ქართველი ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს რუსი პრიზიორი დგანან...

ირაკლის სამშობლოში ომია. ირაკლის სამშობლო განსაცდელშია და მის წინაშე სწორედ აგრესორის მებრძოლი დგას.

სპორტში თითქოს არ უნდა გაერიოს პოლიტიკა, მით უფრო, ოლიმპიური თამაშები მშვიდობის და მხოლოდ სპორტული გამარჯვება-დამარცხების სიმბოლოა, მაგრამ ირაკლიმ იცის, შეუძლებელია არ იცოდეს, რომ ახლა, ამ წუთას, როგორც არასდროს, როგორც არცერთი სხვა ორთაბრძოლისას, ისე დგას მის უკან მთელი მისი ქვეყანა და ის ამ ორთაბრძოლაში, როგორც ომში, შედის...

თუ ამ შეხვედრის ვიდეოს ვნახავთ, ის ტატამზე ბრძოლის დაწყებამდე მშვიდად დგას, ოდნავ ირწევა, თითქოს იცის, რომ მთელი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან “სამკვდრო-სასიცოცხლო” ბრძოლას მართავს... იცის, რომ ამ დროს მის სამშობლოში ყველა - დიდ-პატარა მის გამარჯვებას ელის, სადაც მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება შედგა, თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებობს ავიაიერიშების მიტანის საფრთხე და არავინ იცის ზუსტად, საქართველოს საჰაერო სივრცეში რამდენი რუსული სამხედრო თვითმფრინავი დაფრინავს...

რუსს დასაწყისშივე ეტყობა ნერვიულობა, თუმცა ბრძოლას აქტიურად იწყებს, ირაკლი მარტივად იგერიებს მეტოქის შეტევას და იქით უტევს და პირველი წუთის მიწურულს პირველ ილეთს ატარებს, რითაც კოკას იმსახურებს, ცოტა ხანში კიდევ ერთ კოკას იღებს. შეხვედრის დასასრულამდე 2 წუთზე მეტი რჩება, როცა პერშინი ილეთის ჩატარებას იწყებს, ირაკლი ახერხებს გაითავისუფლოს ფეხი და იწყებს მეტოქის

შებოჭვას... “ირაკლი ცირეკიძე ბოჭავს რუს ივან პერშინს”, - ამბობს ქართველი კომენტატორი... რუსი ტატამზეა გაკრული, სულ რაღაც 30 წამია საჭირო წმინდა გამარჯვებამდე. პერშინი ხვდება, რომ მარცხდება, თავში ხელს ირტყამს და ისმის კომენტატორის ფრაზა: “რუსი გაკრულია ბეჭებზე”...

ირაკლი გამარჯვებასაც მშვიდად ხვდება და ჟესტი, რომელიც ალბათ არასდროს დაავიწყდება იმას, ვინც ამ ორთაბრძოლას პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს და სიხარულისგან ტიროდა, როცა ცირეკიძე კიმანოზე წაწერილ სამშობლოს სახელზე ორივე ხელით მიუთითებს...

ირაკლი ფინალში ალჟირელ ამარ ბენიხლეფთან იბრძვის და ქულებით იმარჯვებს...

ქართველი მებძოლი ოლიმპიური ჩემპიონია...

საქართველოდან პეკინის ოლიმპიადაში სულ 35-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

მოვიპოვეთ 3 ოქროს, 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.

ჩემპიონები, ირაკლი ცირეკიძესთან ერთად, გახდნენ: მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და რევაზ მინდორაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა);

ვერცხლის მედლები მოიპოეს: გიორგი გოგშელიძემ (თავისუფალი ჭიდაობა) და არსენ კასაბიევმა (ძალოსნობა);

ბრინჯაოს მფლობელები კი გახდნენ: ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) და ოთარ თუშიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა).

2021 წელი,28 ივლისი,ტოკიოს ოლიმპიადა

21 წლის ქართველი ფალავანი ლაშა ბექაური ძიუდოს ქართულ ტრადიციას, რომელიც 90 წონით კატეგორიაში მოასპარეზე ძიუდოისტებმა დაამკვიდრეს, არ არღვევს და ზვიად ზვიადაურის (ათენის ოლიმპიადა, 2004 წელი) და ირაკლი ცირეკიძის (პეკინის ოლიმპიადა 2008 წელი) ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი ხდება. საინტერესოა, რომ ლაშამ ნახევარფინალში, ცირეკიძის მსგავსად, რუსი სპორტსმენი დაამარცხა. საქართველოს ისტორიაში ლაშას გამარჯვებაც ოქროს ასოებით ჩაიწერა უკვე, თუმცა არის მომენტები, როდესაც გამარჯვება თუ დამარცხება იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე ამ სიტყვების მნიშვნელობა...

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ტოკიოს ოლიმპიადაზე ასპარეზობა 1 ოქროს და 3 ვერცხლის მედლით დაასრულა, რაც ქართული ძიუდოს ისტორიაში საუკეთესო შედეგია. ბოლო ასპარეზობა +100 წონით კატეგორიაში ძიუდოისტმა გურამ თუშიშვილმა ჩაატარა და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი აიღო. ფინალში თუშიშვილი ჩეხეთის წარმომადგენელთან, ლუკაშ კრპალეკთან დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ ჩეხმა ძიუდოისტმა ზედიზედ მეორე ოლიმპიადა მოიგო - 2016 წელს რიოში მან 100 კგ-მდე წონით კატეგორიაში გაიმარჯვა. თუშიშვილმა ასპარეზობა მეორე წრიდან დაიწყო, სადაც ტაჯიკეთის წარმომადგენელ რახიმოვს დამაჯერებლად სძლია. მეოთხედფინალში კი ბრაზილიის ნაკრების წევრი და 2-გზის ოლიმპიური ვერცხლის მფლობელი, რაფაელ სილვა გაფრთხილებებით დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში თუშიშვილმა რუს ტამერლან ბაშაევს სძლია. იაპონიის შემდეგ საქართველოს ნაკრები ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ 7 წონითი კატეგორიიდან ექვსში ქართველმა ძიუდოისტებმა ნახევარფინალში იჭიდავეს. ხოლო ერთი ძიუდოისტი მეშვიდე ადგილზე გავიდა. ასევე, ისტორიაში პირველად, ოლიმპიურ თამაშებზე მეხუთე ადგილზე გავიდა ქართველი ქალი ძიუდოისტი.

ძიუდო ჩვენი სპორტია!

დედოფლისწყაროს სამჭიდელთა კლუბის წარმატება

ამ დღეებში ქ.თბილისში გაიმართა საქართველოს პირველობა ძალისმიერ სამჭიდში. ჩვენი გუნდი 7 სპორტსმენით გამოვიდა ამ შეჯიბრზე და საკმაოდ კარგი შედეგები დადო, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილი და ტიტულიანი სპორტსმენები აკლდა გუნდს-ნუკრი ქოზაშვილი,თედო ვარდიშვილი,გიორგი ქართველიშვილი, ვასილ ჩივაძე, საბა შერმაზანაშვილი და სხვა...ისინი საპატიო მიზეზით ვერ გამოვიდნენ ამ ჩემპიონატზე.

საქართველოს ჩემპიონები გახდნენ-მიხეილ ზუბიაშვილი-(74 კგ. წონითი კატეგორია, 18 წლის. აჭიმვა -115 კგ. ჩაჯდომი-155 კგ და ამოწევა-167,5 კგ.)-ეს ბიჭი გუნდის ლიდერია; ნიკა მესხი-(66 კგ. წონითი კატეგორია, 17 წლის) და ჯონი პავლიაშვილი-(101 კგ. წონითი კატეგორია, 20 წლის). აღსანიშნავია ნიკა მესხის ჩვეული,ლამაზი და პროგრამული გამოსვლა-ყველაფრის ლამაზად და ზუსტად შესრულება,რაც მაგალითი უნდა იყოს ყველასთვის და ჯონი პავლიაშვილის ბუნებრივი გამოსვლა,ყოველგვარი სტრესების და ემოციების გარეშე.....მეორე ადგილებზე გავიდნენ ახალბედა ,პერსპექტიული სპორტსმენები: ნიკა გიგოლაშვილი-(59 კგ.14 წლის და გიორგი ხუცურაული-66 კგ.17 წლის). მესამე ადგილზე გავიდა გამოცდილი და ტიტულიანი სპორტსმენი-ანრი ყარაულაშვილი-(74 კგ, 14 წლის), რომელიც 300 გრამი ზედმეტი წონის გამო-83 კგ.კატეგორიაში გამოვიდა და თავისი მაქსიმუმის მიუხედავად-აჭიმვა-80 კგ,ჩაჯდომი-90 კგ, და ამოწევა-140 კგ,ლიდერებს ჩამორჩა...საპრიზო ადგილი არ შეხვდა თორნიკე ჩოკოშვილს-(83კგ-16 წლის),რომელიც პირველად გამოვიდა 2 წლის ჩავარდნის მერე...დედოფლისწყაროს სამჭიდელთა კლუბმა ლეგიონმა წელს უკვე 3 შეჯიბრში მიიღო მონაწილეობა (საქართველოს პირველობები-ძალისმიერ სამჭიდში და აჭიმვაში და შოთა ბეჟაშვილის სახელობის ტურნირში)და საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენა-წოლჭიმში-4 პირველი,6 მეორე და 2 მესამე ადგილი...და სამჭიდში-3 პირველი,2 მეორე და 1 მესამე ადგილი. ამ შედეგით ჩვენმა სამჭიდელებმა გუნდური 2 ადგილი მოიპოვეს 8 გუნდს შორის,რაც უდავოდ კარგი მიღწევა და მაღალი შედეგია. დიდ მადლობას ვუხდით ათლეტიზმის ფედერაციის ხელმძღვანელობას ასეთი ლამაზი შეჯიბრებების ჩატარებისთვის და ყველა ჩვენს ქომაგს და გულშემატკივარს თანადგომისთვის.

გუნდის მწვრთნელი
მიხეილ სეხნიაშვილი

მონატრება

ვაჟა გოგილაშვილი

გამარჯობა მამა! ამ წერილს უმამო ადამიანების ქვეყნიდან გწერ. რაც შენ წახვედი, მე აქ დავბინავდი. ეს ქვეყანა სავსეა ჩემნაირებით, აქაურები ჩვეულებრივ დადიან, იღიმებიან და ცხოვრობენ. დადიან და დაატარებენ შიგნით, სადღაც ღრმად ჩამძვრალ, მოფუთფუთე ტკივილებს ყოველდღიური აჩრდილებივით. ასე ვარ მეც. არ მინდა იმ სახლის კარის გაღება, სადაც ერთ დროს ბედნიერი ბავშვობა მქონდა შენთან ერთად. 2020 წლის 4 დეკემბერი, მძულს ამ დღის გახსენება, რადგან ღმერთმა ის წამართვა, ვინც ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდა. გული სიამაყით მევსება, როცა შენზე ტკბილად მესაუბრებიან. 64 წლის ასაკში გადაინაცვლე იმ ზეციურ სამყაროში, სადაც შენნაირი მართალნი განისვენებენ. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილი ყოფილა. რაც დრო გადის, უფრო მეტად მენატრები, ჩემო დიდო ტკივილო. შემძულდა ღამე, რადგან ფიქრებს შენამდე მოვყავარ და უფრო მეტად ვიტანჯები. ვიძინებ იმ იმედით, რომ სიზმარში მაინც მოხვალ და გულში ჩაგიკრავ, ჩაგეხუტები. რამდენი რამ მაქვს შენთვის სათქმელი. უმამოდ დარჩენილი გოგო იმ ჩიტს ჰგავს, რომელსაც ფრენა უნდა და ფრთები აღარ აქვს. სული მეწვის შენი მონატრებით, გული მიკვდება შავებში ჩაცმულ დედას რომ ვუყურებ. მის თვალებში ცრემლის და დარდის მეტს ვერაფერს ვხედავ. ყოველ წუთს იმ კარს გაჰყურებს, საიდანაც შენ გახვედი და უკან ველარ დაბრუნდი. მშვიდად განისვენე იავარდებით მოფენილ სამყაროში. მე კი ყოველთვის აგინთებ სანთელს, ვილოცებ რომ შენმა სულმა შვება ჰპოვოს ზეცაში.

„რა ვუყოთ თუ კი წახვედი,
მეც ხომ ვიცხოვრე სამყოფი,
ახლა იქითკენ მივდივარ
საითაც არ ვარ ნამყოფი.“

შენი შვილი
ნათია გოგილაშვილი

სორტირება და რეციკლირება – ბუნებაზე აღებული პასუხისმგებლობა

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

Empowering People for Change

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია

ევროკავშირი საქართველოსთვის კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრი, მედიაცენტრი კახეთი და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია, პროექტის „მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი /MUSQAT/“ -ის ფარგლებში ახორციელებს ცნობადობის დონის ამაღლების კამპანიას მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების სორტირებისა და რეციკლირების საკითხებზე.

პლასტმასი, პეტ-ბოთლი, მუყაო, მინა და ცელოფანი - ყველა ჩამოთვლილი მყარი ნარჩენის დიდი ნაწილი ნაგავსაყრელებზე იყრის თავს, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი ბუნებაში ხვდება და დიდ ზიანს აყენებს მას.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების ერთერთი მუხლი, ავალდებულებს საქართველოში მოქმედ იმგვარ საწარმოებს, ვინც თავისი მოქმედებით წარმოქნის დიდი რაოდენობით მყარ რეციკლირებად ნარჩენებს, აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა მისი დახარისხებისა და მეორადი გამოყენების ხელშეწყობაზე.

იმისათავის რომ მოხდეს ნარჩენების სორტირება და მისი მეორადი გამოყენება მნიშვნელოვანია არა მარტო ზემოაღნიშნული საწარმოების ან ხელისუფლების ძალისხმევა, არამედ მოსახლეობის მხარდაჭერაც.

ამგვარი მხარდაჭერის გამოვლინება იქნება თუნდაც ის, რომ ოჯახში ცალკე შევაგროვოთ ორგანული ნარჩენები და განვათავსოთ ის სპეციალურ ადგილას, სადაც მოხდება მისი გარდაქმნა ორგანულ სასუქად.

მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დეგრადირებადი ან მრავალჯერადი მოხმარების ჩანთები. დავახარისხოთ ნარჩენები, შუშის და ლითონის ნაკეთობები ჩავაბაროთ ჩამბარებელ პუნქტებში. გავუფრთხილდეთ ბუნებას და არ დავანაგვიანოთ საპიკნიკე ადგილები. ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციის წევრებმა მოვაწყვეთ დასუფთავების ღონისძიებები არწივის ხეობასა და ელიის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიებზე. ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება.



შეგვეხმიაეთ მსურველები, ჩაერთეთ გარემოს დაცვით ინიციატივებში.

დოკუმენტი შემუშავებულია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის მიერ, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მხარდაჭერით პროექტის „ცნობადობის დონის ამაღლების კამპანია მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების სორტირებისა და რეციკლირების საკითხებზე დედოფლისწყაროში“ შესაბამისად. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი (MUSQAT)“ ფარგლებში. ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან დოკუმენტის ავტორები და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის შეხედულებებს.

ულოცავენ!

აბრამ ხარაშვილს!

საქართველოს მასშტაბით 2014 წელს გამოვლენილ „მეტრის“ ნომინანტს, ბატონ **აბრამ ხარაშვილს,** დიდი სითბოთი და სიყვარულით ვულოცავთ 95 წლის იუბილეს და ელიაობის დღესასწაულს! ვუსურვებთ წარმატებულ შვილებთან: მარინასთან და გივისთან, მათ შთამომავლობასთან და ახლობლებთან ერთად მხნეობას, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

უღრმესი პატივისცემით „მეტრის“, „საუკუნის ლეგენდის“ „ახალგაზრდა პროფესიონალის“ ნომინანტების სახელით: ელდარ შენგელაია, ვაჟა აზარაშვილი, რევაზ ტაკიძე, თენგიზ მუშკუდიანი, როგიზონ ნატროშვილი, გოდერძი გონაშვილი, ნიკო შანშიაშვილი, მედეა ამირანაშვილი, ნანი ბრეგვაძე, ნონა გაფრინდაშვილი, მანანა ახმეტელი, ნაირა გორაშვილი, თამარ მოძღვრიშვილი, ინგა შიოლაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი, ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ხათუნა აგლაძე, ზეინალ მოდებაძე, ეგული ყოჩიაშვილი.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 02.08	სამშაბათი 03.08	ოთხშაბათი 04.08	ხუთშაბათი 05.08	პარასკევი 06.08	შაბათი 07.08	კვირა 08.08
დღე	27 °	28 °	29 °	30 °	31 °	31 °	32 °
ღამე	20 °	20 °	23 °	23 °	22 °	23 °	20 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია კობაიძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.